პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 194 (5224)

1974 წ. 1 ოქტომბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფიზკულტურა სკოლაში

სექტემბერი მიიწურა, მაგრამ დღესაც კი სკოლებში იგონებენ საზაფხულო არდადეგების წარმტაც დღეებს, უზიარებენ შთაბეჭდილებებს ყველაზე საინტერესო მოვლენებზე. ერთ-ერთ ასეთ მოვლენად იქცა მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადა, რომლის დევიზი იყო: „მშდ-ს ნიშნიდან — ოლიმპიურ მედლამდე!". ამ შეჯიბრების პოპულარობაზე და გაქანებაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობდა 28 მილიონი მოზარდი. ქვეყნის ყოველ კუთხეში სპარტაკიადის დროშის ქვეშ დადგნენ ისინი, ვინც უკვე დაიმსახურა კარგი მოცურავის, მორბენლის, ველოსიპედისტის სახელი, აგრეთვე, ახალბედათა მთელი რაზმი, სპორტში პირველ ნაბიჯებს რომ დგამდა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად იღვწიან მოზარდი თაობის სულიერი და ფიზიკური ყოველმხრივი სრულყოფისთვის. წარმატებით ხორცს ისხამს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი სასკოლო საქმის შემდგომი სრულყოფის შესახებ. მის შემადგენელ ნაწილად იქცა ფიზიკური კულტურის სწავლება. ეს მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინა ბავშვებში ხელს უწყობს არა მარტო ძალისა და გამძლეობის, ჯანმრთელობის გაკაჟების საქმეს, არამედ ავითარებს ისეთს თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა და სიმამაცე, სიმტკიცე და შეუპოვრობა. სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველი ჭაბუკი და გოგონა უნდა მოემზადოს შრომისთვის და სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის.

ახლა, როცა მთავრდება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის პერიოდი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა, მეცადინეობის ამაღლება, მათს რიცხვში ფიზკულტურისაც.

მრავალმხრივია სპორტული მოღვაწეობა სკოლებში. სასწავლო წელი მხოლოდ დაიწყო და უკვე ჩაებნენ შეჯიბრებებში კლასები, გაჩაღდა სამზადისი ბავშვთა რაიონული და საქალაქო შეჯიბრებებისთვის. ბევრ რაიონში, მუშათა დასახლებასა და სოფელში სკოლები მასწავლებლების, ენთუზიასტ-მშობელთა, კომკავშირელთა და ფიზკულტურული აქტივის გულმოდგინებით ადგილობრივი სპორტული ცხოვრების ცენტრებად იქცა. ყოველივე ეს გვეხმარება სპორტში ყოველდღიურ მეცადინეობაში ჩავაბათ სულ უფრო მეტი მოსწავლე, ფართოდ გავშალოთ მათს შორის მშდ კომპლექსის ნორმების ჩაბარება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ წარმტაცი შეჯიბრებების, საჩვენებელი გამოსვლებისა და ვარჯიშის ჩატარება სასკოლო სპორტული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი გაძლიერებისა და, მაშასადამე, ფიზკულტურული მუშაობის, მათ შორის, სასწავლო საქმის ამაღლების საწინდარია.

ფიზკულტურის გაკვეთილზე მოდის 30-40 ბავშვი. აქ ყველაფერი მასწავლებელზეა დამოკიდებული. ამ პროფილის გამოცდილი, კარგად მომზადებული მასწავლებლების რიგები განუხრელად იზრდება. ქვეყნად 19 ფიზკულტურის ინსტიტუტია. ისინი 12 მოკავშირე რესპუბლიკაში არიან. პედაგოგიურ ინსტიტუტებში ფიზიკური აღზრდის 84 ფაკულტეტია, ხოლო პედსასწავლებლებში 78 განყოფილებაა. ყოველ წელს უშვებენ დიპლომიანი სპეციალისტების დიდ რაზმს. მაგრამ ბევრი სკოლა, განსაკუთრებით სოფლად, დღემდე განიცდის ფიზკულტურის მასწავლებელთა ნაკლებობას. ყაზახეთისა და აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და ყირგიზეთის ზოგიერთ სკოლაში მეცადინეობას ატარებენ სპეციალური განათლების არმქონე ადამიანები. ასე ხდება იმიტომ, რომ ყველა ინსტიტუტდამთავრებული როდი იკიდებს ფეხს სკოლებში. ეს მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ჯერ კიდევ არსებულ მავნე შეხედულებასთან, თითქოს ფიზკულტურა მეორეხარისხოვანი საგანია. სკოლების ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები, სახალხო განათლების ორგანოები მოწოდებული არიან, ყოველმხრივ გაზარდონ ფიზკულტურის პედაგოგ-სპეციალისტთა პრესტიჟი, მეტი საქმიანი დახმარება გაუწიონ მათ, მხარი დაუჭირონ ინიციატივას, რომელიც მიმართულია სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის გაუმჯობესებისკენ.

პედაგოგიური კოლექტივებისა და საშეფო ორგანიზაციების განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს სკოლების სპორტული ბაზების განმტკიცება. იქ, სადაც არაა დარბაზი სპორტული მეცადინეობისთვის, სათამაშო მოედნები, თანამედროვე აღჭურვილობა, ბავშვებთან ფიზკულტურულ მუშაობაში კარგი შედეგების მოპოვება გამოცდილ მასწავლებელსაც კი გაუჭირდება. ამასთან, ღია ცის ქვეშ ადგილის მოწყობა სპორტული სექციის მეცადინეობისთვის არც თუ ისე რთულია, თუ ამ საქმეში თვით მოსწავლეებს, მათს მშობლებს, შეფებს ჩავაბამთ.

იმაზე, თუ მოკლე დროში რა სასიხარულო შედეგების მიღწევა შეიძლება სასკოლო ფიზკულტურული ბაზის გაფართოებით, კარგად მეტყველებს ბელორუსიის სსრ მაგალითი. აქ სკოლების თითქმის 75 პროცენტს უკვე აქვს კომპლექსური სპორტული მოედნები სრულწლიური მეცადინეობისთვის, მასობრივ საპავშვო შეჯიბრებებში მთელი კლასები მონაწილეობენ. ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1970 წელს დადგენილება მიიღო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების თაობაზე. პარტიული ორგანიზაციები ყურადღებით ეკიდებიან დადგენილების რეალიზაციას, კოორდინირებას უწევენ განათლების ორგანოების, კომკავშირის, სპორტული კომიტეტების საქმიანობას, ეხმარებიან მათ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში. ამ მუშაობის შედეგები მჟღავნდება ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის გაკაჟებასა და ფიზიკური წრთობის განუხრელ განმტკიცებაში, მოზარდთა სპორტის საგრძნობ განვითარებაში, ფიზკულტურელთა ოსტატობის ამაღლებაში.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ სკოლის მახლობლად არაა სპორტული მოედნის, საცურაოს, სათხილამუროს მოსაწყობი ადგილები? ასეთ დროს დასახმარებლად უნდა მოვიდნენ ახლომდებარე სტადიონების, აუზების, სათხილამურო ბაზების კოლექტივები. სპორტულ საზოგადოებათა ვალია ნუდმივად განამტკიცონ კავშირი სკოლებთან, ფართოდ გაუღონ ბავშვებს სპორტული კომპლექსების კარი, სასკოლო წრეებსა და სექციებში სახელმძღვანელოდ მიავლინონ გამოცდილი მწვრთნელები და სპორტსმენები, გააძლიერონ საშეფო დახმარება სასწავლო დაწესებულებებისადმი.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მიღებულია და ფრთები ესხმება ფიზიკური კულტურის განვითარების ხუთწლიან გეგმას, სკოლებში შემოღებულია ფიზიკური აღზრდის ერთიანი პროგრამა. ამ გეგმების შესრულება, მომავალ თაობასთან სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ იმაზე, რომ ჩვენი ბავშვები იზრდებოდნენ ჯანმრთელნი და სიცოცხლის მოყვარულნი, გამოწრთობილნი და ძლიერნი, ყოველმხრივ განვითარებულნი, მზადმყოფნი ღირსეულად გააგრძელონ კომუნისტური მშენებლობის დიდი საქმე.

ПРАВДА

მოწინავე წერილი. 29 სექტემბერი.

## „სტაიერები" მოდიან ტრეკზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

100-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში წლეულს პირველად შეიტანეს. ეს თბილისის ახალი ველოტრეკის ღირსებას უნდა მივაწეროთ, რომელიც ურთულესი შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარების საშუალებას იძლევა. საერთოდ კი ველოსიპედისტებისთვის ასეთ ზემარათონულ მანძილზე ასპარეზობა უცხო ხილი არ არის (გაიხსენეთ, თუნდაც, სალიდერო ან საგზატკეცილო რბოლები), მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ სად და რა პირობებში ტარდება ასეთი შეჯიბრება.

მაგალითად, ტრეკზე მოასპარეზეთათვის დისტანციის სიგრძე არასდროს აღემატებოდა 40-50 კილომეტრს (ასეთი იყო, სახელდობრ, ასწრიანი ჯგუფური რბოლის ფორმულა). ახლა იგი ერთი-ორად გაიზარდა და შესაბამისად გართულდა ბრძოლის პირობები. მაგრამ, პირველ ყოვლისა, იბადება კითხვა: ვის შეუძლია ასეთ რთულ პირობებში ასპარეზობა? სპრინტერისთვის 100 კმ ყოვლად ჩიუღებელი დისტანციაა. რთული დასაძლევია იგი იმათთვისაც, ვინც გუნდურ ან ინდივიდუალურ რბოლებშია დახელოვნებული. სწორედ ამ მიზეზით ტრეკს ნელ-ნელა „დაეპატრონენ" საგზატკეცილო რბოლების ოსტატნი.

აქვს თუ არა რეალური საფუძველი ამ იძულებითს უნივერსალიზმს? როგორც ჩანს, აქვს. ყოველ შემთხვევაში, პირველმა ჩემპიონატმა ცხადყო, რომ პროგრამის ამ სახეობაში „სტაიერები" უფრო ლაღად გრძნობენ თავს, ვიდრე წმინდა წყლის სპრინტერები.

ერთ-ერთმა ასეთმა „სტაიერმა" ნ. ავეტისიანმა (სომხეთი) ამ ცოტა ხნის წინათ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო საგზატკეცილო რბოლაში. მერე მან ძალა სცადა ჯგუფურ რბოლაში და თითქმის მთელი ნახევარი დისტანცია ლიდერობდა. ავეტისიანს სხვებზე უკეთესი შანსი ჰქონდა და ალბათ მიაღწევდა კიდეც „დუბლს", მოულოდნელად რომ არ დაშავებულიყო...

ლიდერის ფათერაკმა ერთბაშად შეცვალა რბოლის სურათი და გარკვეული სტიმული მისცა იმათ, ვინც ჩასამდე ავეტისიანის ზურგს იყვნენ მოფარებული. აი, სწორედ ამ გარდატეხის მომენტში გამოჩნდა თაოსანთა პატარა ჯგუფი, რომელმაც გაბედული ტაქტიკური მანევრებით 3 წრე მოუგო მოასპარეზეთა ძირითად ჯგუფს და ყველა საპრიზო ადგილი გაინაწილა. ჩემპიონი გახდა ყირგიზეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, 25 წლის ი. სობოლინი. ვერცხლის მედალი ლენინგრადელმა ა. დენისოვმა დაიმსახურა, ბრინჯაოს ჯილდო კი კუსტანაელ ვ. პროდანს ერგო.

მეორე ოქროს მედალი ამ ჩემპიონატში 4 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლის ოსტატებმა გაითამაშეს. გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა შარშანდელ ჩემპიონს, ლენინგრადელ ვ. ოსოკინს. მან წარმატებით დაძლია წინასწარი სერიების სიროულეები, მაგრამ მეოთხედფინალში წააიბორძიკა ახალგაზრდა სიმფეროპოლელ ოსტატთან პ. დომოჟილკინთან შეხვედრაში.

უკრაინელი ველოსიპედისტის ეს წარმატება ერთობ სიმპტომატურია. დომოჟილკინმა მანამდეც ყველა სერია მოიგო, თანაც დიდი უპირატესობით. სსრ კავშირის ჩემპიონთან გამარჯვებამ კი საბოლოოდ ცხადყო ახალგაზრდა სპორტსმენის ზრახვანი. დომოჟილკინი ფინალამდე დარჩენილ რბოლებში და თვით ფინალშიც თავისი თავის ერთგული დარჩა: მშვიდად, უპანიკოდ მოიგო ოქროს მედალი. თუ რამდენად დამაჯერებელი იყო მისი გამარჯვება გადამწყვეტ ბრძოლაში, კარგად ჩანს შედეგებიდან: დომოჟილკინმა 4 კილომეტრის გავლას 4.52,50 მოანდომა, ვერცხლის პრიზიორმა ვ. პეტრაკოვმა (რსფსრ) კი — 4.57,78.

ნ. ახვლედიანი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ჯგუფური რბოლის მონაწილენი დისტანციაზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ალექსეევის რეკორდები

**მანილა, 29 სექტემბერი.** დღეს აქ დამთავრდა ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია შახტელმა ათლეტმა ვ. ალექსეევმა (ზემძიმე წონა), რომელმაც ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ორჭიდში 425 კგ დაიმორჩილა, დამატებითს ცდაზე კი 241,5 კგ აჰკრა.

დიდი ვერცხლის მედალი ზელგიელ ს. რედინგს ხვდა (390 კგ), ხოლო ბრინჯაოსი — ი. ჰაუზერს (გდრ) — 382,5 კგ.

წინადღით სარბიელზე მძიმე წონის ძალოსნები გამოვიდნენ. გაიმარჯვა როვნოელმა ვ. უსტიუჟინმა — 380 კგ (167,5+212,5). საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა ი. ციცკე (გდრ) — 377,5. ბრინჯაოს დიდი მედალი სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტს, ტემირტაუელ ი. ზაიცევს ერგო — 367,5.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო ბულგარეთის ნაკრები — 78 ქულა. მას 4 ქულით ჩამორჩა სსრ კავშირის კოლექტივი. III ადგილზეა პოლონეთის გუნდი — 50 ქულა.

## ყინულზე დიდი ბრძოლების წინ

ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიული ლიგის მოთამაშეთაგან დაკომპლექტებულმა კანადის ნაკრებმა სსრ კავშირის გუნდთან ოთხი დიდი მატჩის წინ გუშინწინ გიოტებორგის სპორტის სასახლე „სკანდინავიუმში" გამართა „ბოლო რეპეტიცია" — მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს ეთამაშა.

დაძაბული ბრძოლა კანადელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 4:3 (3:0, 0:1, 1:2). შაიბები გაიტანეს: კანადელთაგან — ჰალმა, უოლტონმა, გორდი ჰოუმ, მაკოვლიჩმა, მასპინძელთაგან — იუჰანსონმა, ლუნდსტრიომმა და ოლბერგმა.

კანადელებთან სათამაშოდ გულმოდგინედ ემზადება სსრ კავშირის ნაკრებიც. სწორედ ამ სამზადისის პროგრამით იგი 29 სექტემბერს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში საწვრთნელ მატჩში შეხვდა გორკის „ტორპედოს" და გაიმარჯვა ანგარიშით 5:2 (2:0, 2:1, 1:1). შაიბები გაიტანეს: ნაკრების წევრთაგან — ლებედევმა, მალცევმა, მიხაილოვმა, ხარლამოვმა, შადრინმა, გორკელთაგან — დობროხოტოვმა და ჭრაევმა.

სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტები 1, 3, 5 და 6 ოქტომბერს შეხვდებიან ერთმანეთს.

## რეკორდები

**რომი, 29 სექტემბერი.** 43 წლის სიცილიელმა ენცო მაიორკამ 7 მეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი წყალში ყვინთვაში: სორენტოს მახლობლად მან ზღვაში 87 მეტრზე ჩაყვინთა.




# ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

რედაქციაში ოთხი ახალგაზრდა მოვიდა: უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მეოროკურსელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ც. სუმბაძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის მეოთხეკურსელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი თ. ტერუნაშვილი, თბილისის 43-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, პირველთანრიგოსანი ი. ლოგინოვი და ახალგაზრდა არქიტექტორი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლ. კუპრაშვილი.

— ხვალ „ლოკომოტივის" სტადიონზე რესპუბლიკის მშვილდოსანთა პირად-გუნდური ჩემპიონატი იწყება (ამის შესახებ რედაქციამ არაფერი იცოდა, ვინაიდან ამ დროისთვის ეს ღონისძიება არც კალენდრით იყო გათვალისწინებული და ქალაქშიც აფიშები არსად გაკლდათ), ჩვენ და ათობით ჩვენისთანას საასპარეზოდ კი არ გვიშვებენ...

— მშვილდოსნობაში შეჯიბრებები ისედაც იშვიათად ეწყობა, სად ავიმაღლოთ თანრიგი, სად შევამოწმოთ ჩვენი ნაშრომ-ნაჯაფი?..

— ნუთუ ვიღაცის უთავობის გამო რესპუბლიკაში მშვილდოსნობის განვითარება კიდევ უფრო უნდა დამუხრუჭდეს?! სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის რას აპირებენ?..

— განა ეს სპორტის მასობრიობისთვის ზრუნვაა?..

გულდაწყვეტილი სპორტსმენები ერ-ულია, მით უფრო, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადამდე 8 თვეღა დარჩა (მშვილდოსნები ხალხთა სპარტაკიადაში დავას მაისში გაარკვევენ).

ახლა ყოველი შეჯიბრება საქართველოს ნაკრების კანდიდატთა შერჩევასაც უნდა ემსახურებოდეს, მწვრთნელები, რაც შეიძლება მეტი სპორტსმენის შემოწმებას უნდა ცდილობდნენ, მით უმეტეს, რომ ჩვენი დღევანდელი გუნდი მეტად უსუსურია. საქართველოს მშვილდოსნებმა წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებებში ერთი ხელშესახები წარმატებაც კი ვერ მოიპოვეს, ეს მაშინ, როცა სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში არიან წინა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ლ. ასატუროვა-სორდია და ევროპის ჩემპიონი ქ. ლოსაბერიძე.

ნუთუ შეჯიბრების ორგანიზატორები, მსაჯთა კოლეგია სინდისმა არ შეაწუხა, როცა სპორტის ოსტატებს, ოსტატობის კანდიდატებს, პირველთანრიგოსნებს, რომლებიც გუნდებში ვერ მოხვდნენ, პირად პირველობაში მონაწილეობაზე უარი უთხრეს, როცა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ც. სუმბაძეს, რომელსაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ (იგი ერთხანს ავადმყოფობის გამო არ ვარჯიშობდა), სარბიელის კარი მიუხურეს.

შეჯიბრება უგერგილოდ რომ იყო მოწყობილი, სხვა ფაქტებიდანაც ჩანს. ჩემპიონატის საზეიმო გახსნა

# ამას დაუდევრობა ჰქვია
# სად ავიმაღლოთ თანრიგი?
# ვის აძლევს ხელს ასეთი შეჯიბრება?

თმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, დახმარებას გვთხოვდნენ. გაგვეხარდა, რომ სპორტის სიყვარულმა ისინი ჩვენთან მოიყვანა, მდგომარეობის შესწავლას დავპირდით და მეორე დღესვე სტადიონს მივაშურეთ.

ჩემპიონატის გახსნამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა, მაგრამ იქ, სადაც ჩვეულებრივ მშვილდოსანთა ტურნირები იმართება, კაცის ჭაჭანება არ იყო. სამაგიეროდ, სავარჯიშო მოედანზე (რომელიც სავარჯიშოდაც არ ვარგა) ფუსფუსებდნენ, ფარებს დგამდნენ.

შეჯიბრების მესვეურებს რედაქციისა და ახალგაზრდა მშვილდოსნების პრეტენზიები გავაცანით. თურმე იმის გამო, რომ „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მინდორზე მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილეებს ერთს ტყორცნაში უნდა ესპარეზათ, სტადიონის დირექციამ მშვილდოსნებს ვიწრო სავარჯიშო მოედანი გამოუყო, ამასთან, მთლიანად ფარებითაც კი ვერ უზრუნველყო.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა (მთავარი მსაჯი გ. დავითაშვილი) იმდენი ვერ მოიფიქრეს (ან არ ისურვეს) ასპარეზობა თბილისის სხვა რომელიმე სტადიონზე გადაეტანათ და პირად პირველობაში ყველა მაღალთანრიგოსანი სპორტსმენი დაეშვათ. რესპუბლიკური ტურნირი ხომ წელიწადში ერთხელ ეწყობა, საქართველოს ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა ყველას სურს, ბევრს ჭიდილის ძალაც შესწევს. აქ კი, ამ ბევრს შეჯიბრების კარები გადაუკეტეს. ეს დიდი დანაშა-

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს — არც მონაწილეთა აღლუმი, არც მისალმება, არც ალმის აღმართვა!..

შეჯიბრებას სხვა ხარვეზებიც ჰქონდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რაც ვთქვით, ისიც კმარა. დავუმატებთ მხოლოდ, რომ საქართველოს ნაკრები, რომელიც ჯერ საკავშირო ჩემპიონატში იასპარეზებს, ხოლო შემდეგ — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში, კვალიფიციური მწვრთნელებითა და მაღალხარისხოვანი ინვენტარით სათანადოდ როდია უზრუნველყოფილი. ასპარეზობისას ჩვენ იმის მოწმეც ვიყავით, რომ ნაკრების უფროს მწვრთნელად მოწვეულმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა შ. ჯაშიაშვილმა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ საერთო ენა ჯერჯერობით ვერ გამონახეს. მწვრთნელს, რომელიც სპარტაკიადაში გუნდის ყოველი წევრის გამოსვლაზე აგებს პასუხს, მუშაობის ყველა პირობა უნდა შეუქმნას.

... ახლა თვით ასპარეზობის შესახებ. ცეცხლის ხაზზე თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარისა და ლენინგორის კოლექტივები გამოვიდნენ. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გუნდური პირველობა თბილისელებმა დაისაკუთრეს. საერთო II ადგილი ქუთაისის ნაკრებს ხვდა, III — აჭარის მშვილდოსნებს.

პირად პირველობაში ნოასპარეზე ვაჟთა შორის აშკარა იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტის, სპორტის ოსტატის ნ.



მეჟევიძის („დინამო") უპირატესობა. მან „მ-2" ვარჯიშში სამ დისტანციაზე სროლა მოიგო და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. მას მხოლოდ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა გ. გორდეზიანმა („ბურევესტნიკი") აჯობა ერთ დისტანციაზე — 50 მეტრზე სროლაში.

მეჟევიძეს ვერაფერს ვუსაყვედურებთ (70 მეტრზე მან რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარა), ვინაიდან იგი ერთადერთი გახლდათ, რომელმაც 2200-ქულიანი ზღვარი გადალახა, მაგრამ სხვა პრიზიორებს მეტი მუშაობა მართებთ.

ქალთა შორის სულ სხვა სურათის მოწმენი ვიყავით. პირველობისთვის ბრძოლა ძველ მეტოქეებსა და თანაგუნდელებს, ლოსაბერიძესა და სორდიას შორის გაიმართა. სორდიამ უკვე პირველივე დისტანციაზე — 70 მეტრზე ასპარეზობაში ლოსაბერიძეს 24 ქულა მოუგო, 60 მეტრზე სროლაში ეს სხვაობა კიდევ 14 ქულით გაზარდა, მაგრამ ლოსაბერიძემ შემდეგში თითქმის შეუძლებელი შეძლო: 50 და 30 მეტრზე შეჯიბრებაში მდგომარეობა არა მარტო გამოასწორა, არამედ საბოლოოდ 32 ქულით სძლია მეტოქეს.

## ტექნიკური შედეგები

**ქალები. 70 მ.** ლ. სორდია — 510 (249+261), ქ. ლოსაბერიძე (ორივე—თბილისი, „ბურევესტნიკი") — 486 (236+250), მ. გოდერძიშვილი (თბილისი, „ლოკომოტივი") — 439 (217+222). **60 მ.** სორდია — 580 (286+294), ლოსაბერიძე — 566 (277+289), გ. რიჟამაძე (ქუთაისი, „ბურევესტნიკი") — 540 (272+268). **50 მ.** ლოსაბერიძე — 541 (266+275), სორდია — 515 (244+271), რიჟამაძე — 502 (247+255). **30 მ.** ლოსაბერიძე — 648 (329+319), რიჟამაძე — 628 (316+312), მ. ბუხაიძე (ქუთაისი, „განთიადი") — 622 (303+319). **ჯამი.** ლოსაბერიძე — 2251 ქულა, სორდია 2219, რიჟამაძე — 2100.

**ვაჟები. 90 მ.** ა. მეჟევიძე (თბილისი, „დინამო") — 415 (211+204), გ. გორდეზიანი — 386 (185+201), გ. არჩვაძე (ორივე — თბილისი, „ბურევესტნიკი")—377 (174+203). **70 მ.** მეჟევიძე — 584 (298+286), გორდეზიანი — 531 (265+266), არჩვაძე — 531 (277+254). **50 მ.** გორდეზიანი — 559 (270+289), მეჟევიძე — 556 (272+284), ვ. ტროპინი (თბილისი, „სპარტაკი") — 542 (243+299). **30 მ.** მეჟევიძე — 652 (328+324), ტროპინი — 635 (302+333), გორდეზიანი — 633 (307+326). **ჯამი.** მეჟევიძე — 2207 ქულა, გორდეზიანი — 2099, არჩვაძე — 2042.

**რ. ხაღაძე.**

* * *

**სურათზე:** ლ. ასატუროვა-სორდია ცეცხლის ხაზზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

## რაგბი

# შანსები გათანაბრდა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 29 სექტემბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ივერია" (თბილისი) 7:0 (3:0).

„ლოკომოტივი": მოდებაძე, ცხვედიანი, ფეტვიაშვილი (ზ. ანთაძე), ლიბრაძე, აბულაძე, კემულარია, რუხაძე, ბუგიანიშვილი, ხარშილაძე, კილასონია, ფურცელაძე, ქლენტი, მგელაძე, დოლიძე, მ. ანთაძე.

„ივერია": თუშიშვილი (კოტრიკაძე), ჯოხაძე, დადეშქელიანი, ურუშაძე, რეხვიაშვილი, სანებლიძე, ეკალაძე, ნაცვლიშვილი, მამულაშვილი, ქოჩლაშვილი (ნიჟარაძე), ანდღულაძე, კიზირია, თოფურია, აბაშიძე (პაიჭაძე), ბერეკაშვილი.

მსაჯი გ. ფორმინი (მოსკოვი).

გუნდების მეტისმეტად უხეირო სატურნირო მდგომარეობა ორივე კოლექტივს მხოლოდ გამარჯვების ამოცანას უსახავდა, ამიტომ მინდორზე თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა.

რკინიგზელები მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ მარაოს გაშლით, ბურთის განივი გადაწოდებით გაჭრას ცდილობდნენ, „ივერია" (ყოფილი „განთიადი") — მეტოქის ნახევარზე ბურთის „დაკიდებით". უპირატესობის მოპოვების ამ საშუალებებით გუნდები იმასღა ახერხებდნენ, რომ თამაში მინდვრის ერთი ნახევრიდან მეორეზე გადაჰქონდათ, ანგარიში კი არ ჩანდა...

როცა „ლოკომოტივმა" „ივერიის" დაცვაში ბზარი ვერ მონახა, სხვა ხერხებს მიმართა. ერთ-ერთი ასეთი ხერხით — არეკნით დარტყმით მ. ანთაძემ მიზანს მიაღწია — 3:0. ეს მოხდა 36-ე წუთზე.

რკინიგზელებმა თამაშის განახლებისთანავე „ივერიის" კარს მძაფრად შეუტიეს. კილასონიამ ჯარჯვენა ფლანგიდან მეტოქის ჩათვლის მოედნისკენ დაარტყა. აქ ბურთთან ყველაზე ადრე ცხვედიანი გაჩნდა და იგი მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანზე დადო — 7:0.

„ლოკომოტივს" კიდევ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ რეალიზაციის გამოყენება გააჭიანურა, რის გამოც მსაჯმა მას დარტყმის უფლება ჩამოართვა.

მატჩის ბოლომდე კიდევ 30 წუთი რჩებოდა. ამ დროში ბევრის გაკეთება შეიძლება. „ივერიის" საპასუხო იერიშებს „ლოკომოტივმა" მყობრი დაცვა და კონტრშეტევები დაუპირისპირა, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხა.

„ლოკომოტივს" ამ გამარჯვების შემდეგ 4 ქულა დაუგროვდა და „ივერიას" დაეწია. ამრიგად, თბილისის გუნდებს გაისისთვის უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსები გაუთანაბრდათ. ახლა ყველაფერი მომავალ მატჩებზეა დამოკიდებული.

მ. რაზმაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის სპორტკლუბი „ფილი" კვირას ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან დამარცხდა — 12:18. აღსანიშნავია, რომ „ფილიმ" მინდორი წლეულს სულ ორჯერ დატოვა დამარცხებულმა და ორივეჯერ გაგარინელებთან შეხვედრის შემდეგ.

კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი მოსკოვის „ავტომობილისტს" მასპინძლობდა. გაიმარჯვეს კიეველებმა — 7:6.

ჩემპიონატის დებიუტანტმა — მოსკოვის „ლოკომოტივმა" ლენინგრადში ადგილობრივ „ბურევესტნიკს" სძლია — 4:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფილი" | 11 | 9 | 0 | 2 | 169:97 | 18 |
| საიი (კიევი) | 12 | 8 | 0 | 4 | 184:130 | 16 |
| „ბურევეს." | 12 | 7 | 0 | 5 | 148:114 | 14 |
| სსა (მ.ო.) | 11 | 6 | 0 | 5 | 114:71 | 12 |
| „ავტომ." (მ.) | 11 | 5 | 1 | 5 | 83:80 | 11 |
| „ლოკ." (მ.) | 11 | 5 | 1 | 5 | 112:117 | 11 |
| „ლოკ." (თბ.) | 11 | 2 | 0 | 9 | 68:151 | 4 |
| „ივერია" | 11 | 2 | 0 | 9 | 59:180 | 4 |

# ორი შეხვედრა ფრანგებთან

სსრ კავშირის 1971 წლის ჩემპიონმა — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის რაგბისტთა გუნდმა (მოსკოვის ოლქი) ამას წინათ ორი მატჩი გამართა საფრანგეთში. გაგარინელებმა საფრანგეთის კლუბების ნაკრებთან წააგეს ანგარიშით 7:15, ხოლო მასპინძელი ქვეყნის არმიელთა ნაკრებთან — 0:35.

# ევროპა ამერიკის წინააღმდეგ

ამერიკა თუ ევროპა? სპორტის არც ერთი სახეობის წარმომადგენლები არ არკვევენ საკონტინენტთაშორისო ურთიერთობას ისე ხშირად, როგორც კალათბურთელები. ამერიკა თუ ევროპა? აგერ უკვე რამდენი წელია, რაც დღის წესრიგში დგას ეს საკითხი, რომელიც ბევრი დაუვიწყარი და ამაღელვებელი ორთაბრძოლის მიზეზი გახდა.

წლევანდელი შეხვედრების თავკაცობა ძველმა სამყარომ ბელგიელ მწვრთნელს ლ. ვანდელს ანდო. მან შეადგინა ევროპის ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ: ს. ბელოვი (სსრ კავშირი), უ. ბრაბენდერი, ლ. სანტილიანა (ორივე — ესპანეთი), ჟ. კამმირი (საფრანგეთი), ვ. გოუმასი (საბერძნეთი), დ. მენეგინი, პ. მარზორატი (ორივე — იტალია), კ. ჩოსიჩი, ვ. ცლოვაცი, დ. შოლმანი (ყველა — იუგოსლავია).

ჩატარდა ამ საინტერესო სერიის ორი მატჩი. 26 სექტემბერს პირველმა შეხვედრამ რიო-დე-ჟანეიროში წარმატება ევროპის ნაკრებს მოუტანა — 94:85 (47:40).

მეორე შეხვედრისთვის (28 სექტემბერი, სან-პაულუ) ამერიკელებმა შემადგენლობა შეცვალეს — ნაკრებში მეტი ადგილი დაუთმეს აშშ-სა და ბრაზილიის კალათბურთელებს, მაგრამ არც ამან გამოიღო ნაყოფი: ევროპელებმა კვლავ გაიმარჯვეს, ამჯერად ანგარიშით 108:99 (48:49).

დარჩა კიდევ ორი შეხვედრა, რომლებიც ალბათ ვეღარ შეცვლიან მდგომარეობას, ვინაიდან ორივე მატჩი ევროპაში უნდა ჩატარდეს. დღეს მეტოქეები ბრიუსელში იასპარეზებენ, 4 ოქტომბერს კი — რომში.

# თხუთმეტ ეტაპზე

გაიმართა აჭარის დედაქალაქის სკოლების პირველობა მძლეოსნურ ესტაფეტაში კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა 24 სკოლის 360 მოსწავლე. ტრასა 15 ეტაპისგან შედგებოდა. სტარტი და ფინიში „დინამოს" სტადიონზე მოეწყო.

თავიდანვე მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა მე-7 და მე-15 სკოლის გუნდებს შორის. VIII ეტაპზე დაწინაურდნენ მე-15 სკოლის აღსაზრდელები. მათ ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და ვ. კარატაევმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. II ადგილზე არიან მე-7 სკოლის მძლეოსნები, III — მე-20 სკოლის სპორტსმენები.

მე-15 სკოლის (ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ზ. თავაძე) გუნდს საქართველოს კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი თასი და I ხარისხის დიპლომი გადაეცა.

ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიიღეს 24-ე, 25-ე, 26-ე, 28-ე სკოლების გუნდებმა.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.



# საფეხბურთო აკადემიის ლექციები

როცა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა თამაშს ვუყურებ, ძალაუნებურად მებადება ასეთი შეკითხვა: ნუთუ ამ დალოცვილებს X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისთვის ყურადღებით, გულდასმით, სალი თვალით არ უყურებიათ და მერე ამ ნანახიდან დასკვნები არ გამოუტანიათ?

მერე თავადვე გამიცია პასუხი ამ შეკითხვაზე: თუ უყურებიათ და ასე თამაშობენ, მით უარესი მათთვის!

შეიძლება ვინმე შემომედაოს, ეს რა არგუმენტია, ნახვა ერთია და თამაში მეორეო.

ვერ დაგეთანხმები: ასეთი ტექნიკის მქონე ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს თბილისის „დინამოში" თამაშობენ, არ უნდა გაუჭირდეთ საფეხბურთო აკადემიის ლექციების ღრმა ანალიზი, საინტერესო ტაქტიკური თუ სტრატეგიული სიახლეების მოსინჯვა და დამუშავება, თავიანთს გუნდში მათი გადმოტანა და დანერგვა... მით უმეტეს, რომ წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა რამდენიმე უაღრესად საინტერესო სიახლე თუ არა, აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია გვიჩვენა და ეს მაინც უნდა დაეტყობოდა ჩვენს გუნდს. პირველ ყოვლისა მხედველობაში მაქვს უკიდურესობამდე რაციონალური თამაში, დანარჩენ ტენდენციებზე კი ქვემოთ მოგახსენებთ.

...წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის 14 მაისის მატჩისთვის, როცა ერთმანეთს მოსკოვისა და თბილისის დინამოელები შეხვდნენ, „დინამოს" ცენტრალური სტადიონის მიერ გამოშვებულ პროგრამაში დაბეჭდილია ინტერვიუ მ. მაჩაიძესთან. კორესპონდენტის შეკითხვაზე — რა ნაკლოვანებები გაქვთო, თბილისელმა ნახევარმცველმა ასე უპასუხა:

— ჩემი აზრით, ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ხშირად ზედმეტად ვაყოვნებ ბურთს...

ეს პირდაპირ პარადოქსია! თუ მას ეს უაღრესად სერიოზული ხარვეზი შეგნებული აქვს, ასე ვთქვათ, თეორიულად ესმის, რატომ ვერ ელევა ამ მავნე ჩვევას, სხვაგვარად რატომ არ თამაშობს? ვატყობ, რომ ამ მაგალითის მოყვანით საქმე გავიფუჭე: აქაოდა, კაცი თავის ნაკლს გრძნობს და მაინც ძველებურად თამაშობს, თქვენ კი მოითხოვთ მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოიტანოს რაღაც გაკვეთილიო!

გეთანხმებით, ეს საკითხი ასე ერთი ხელის მოსმით, ასე იოლად არ წყდება, მაგრამ, ვიმეორებ, იგივე მაჩაიძეც, „დინამოს" სხვა წევრებიც ტექნიკისა და გამოცდილების მხრივ იმ დონეზე დგანან, რომ მოწადინების, გამიზნული ვარჯიშის შემთხვევაში სხვაგვარად, ახლებურად ათამაშდებიან.

მაგრამ ყოველივე ამას ბევრი შემაფერხებელი მიზეზი აქვს და, პირველ ყოვლისა, დინამოელთა უკმარი ფიზიკური მომზადება. თბილისის „დინამოს" რომელიმე ფეხბურთელმა ერთ მატჩში იმდენი ენერგია რომ დახარჯოს, რამდენსაც გფრ-ის ნაკრების ბრწყინვალე ნახევარმცველი ვოლფგანგ ოვერატი ხარჯავს, დასასვენებლად და ძალ-ღონის აღსადგენად სულ ცოტა ერთი თვით იქნება კურორტზე გასაგზავნი, თუ, რა თქმა უნდა, უარესი რამ არ შეემთხვა...

ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაჩაიძის მიერ ბურთის გაუთავებელი ტარება გუნდის თამაშის მანერასთანაა დაკავშირებული. თუ მისი პარტნიორები დროზე არ გაიხსნენ, თავისუფალ ადგილებზე არ გავიდნენ, თავიანთი თავი არ შესთავაზეს ბურთის მფლობელს, ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა მაჩაიძეს ძალიან გაუჭირდება.

ასეა თუ ისე, თბილისის „დინამოს" მსგავს ფეხბურთს დიდი ხანია აღარავინ თამაშობს. აბა, ვინ მისცემს თავს უფლებას უამრავი დრო დახარჯოს ნინიდრის • შუაგულის გასავლელად?! ეს ხომ ფუფუნებაა, მაგრამ ისეთი ფუფუნება, რომელიც მეტოქეს ერთობ აძლევს ხელს — ამ ხნის მანძილზე კარის წინ კედლის აღმართვა კი არა, სურამის ციხის აშენება მოესწრება. ასე ფეხბურთს დღეს არავინ თამაშობს... მაგრამ კიდევ ერთი უბედურება ისაა, რომ ჩვენს დინამოელებს ეს მოძველებული და ყოვლად უსარგებლო თამაშის მანერა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი.

იყო დრო, როცა საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი შესანიშნავი სპეციალისტი ბ. არკადიევი კინაღამ ჯვარს აცვეს იმის გამო, რომ ფეხბურთელის უნივერსალიზაციის მქადაგებლის როლში გამოვიდა. მაშინ მას ბევრი სპეციალისტი როდი ამოუდგა მხარში, ზოგიერთმა მწვრთნელმა ნოვატორის აზრი მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა, უმეტესობა კი არკადიევის შეხედულებას გმობდა.

სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოებში, ბევრმა გუნდმა სწორედ უნივერსალიზმისკენ წარმართა მთელი სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, ხოლო წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონატმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ ეს ცნება დიდი ფეხბურთის განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. დასავლეთ გერმანიის სტადიონებზე გამართული მატჩები, უნივერსალური ფეხბურთელების ლამაზი ალუმი, დიდი საფეხბურთო სპექტაკლები იყო... სწორედ ამ მხრივაც აჯობეს ევროპის გუნდებმა (გფრ, ჰოლანდია, პოლონეთი) სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლებს.

ძალიან დასანანი იყო შოტლანდიის მშვენიერი გუნდის ბედი — ეს ბრძოლისუნარიანი, ჩახმახივით შემართული კოლექტივი წაუგებლად... გამოეთიშა ძირითად ეტაპს. შოტლანდიელთა რიგებშიც იყვნენ ბრწყინვალე, უნივერსალური მოთამაშეები. პირველ ყოვლისა ეს ეხება ნახევარმცველ ბილი ბრემნერს.

და აი, რა გამოვიდა: საბჭოთა ფეხბურთი მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეუდგა თავის სხვა სერიოზულ ხარვეზებთან ერთად ამ დიდი ნაკლის გამოსწორებას. დაგვიანებული ხომ არ არის?

მაშ ასე: უაღრესად რაციონალური თამაში, უნივერსალიზმი...

რაციონალური თამაშის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორეში ბურთის რაც შეიძლება სწრაფად გადაცემა. ამ მანძილის დასაფარავად მსოფლიოს მოწინავე საკლუბო გუნდები და ნაკრები კოლექტივები უკვე დიდი ხანია აღარ მიმართავენ მოკლე გადაცემებს, სოლო რეიდებს... პოლონეთის ნაკრებს სწორედ ამან მოუტანა წარმატება: მცველის გრძელი გადაცემა ერთ-ერთ ფლანგზე, იქიდან — გასწვრივი ჩაწოდება კართან, გადაცემები ფლანგიდან ფლანგზე და ა. შ. თავისთავად ცხადია, რომ დღევანდელ ფეხბურთს შემორჩა ფინტიცა და დრიბლინგიც, სწრაფი რეიდიც და მოკლე პასიც, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ აუცილებელ მომენტში, კონკრეტულ ვითარებაში ხდება. ჰოლანდიის ნაკრები სწორედ ყველა ზემომოყვანილი კომპონენტის სინთეზს წარმოადგენდა, მაგრამ ამ ჩინებულ კოლექტივში მაინც თანამედროვე, აქტუალური ფეხბურთის არსენალიდან აღჭურვილი სპორტსმენები თამაშობდნენ.

X მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი განმასხვავებელი, დამახასიათებელი ნიშანი იყო მოთამაშეთა შრომისუნარიანობა. ამ მხრივ პირდაპირ ფანტასტიკური იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. ამ უბრწყინვალესი, უაღრესად შეთამაშებული გუნდის ყველა წევრი წარმოუდგენელი ტევადობის სამუშაოს ასრულებდა.

სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტადიონებზე ჰპოვა თავისი ნამდვილი ზეიმი ეგრეთ წოდებულმა ტოტალურმა ფეხბურთმა, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჰქონდა პრემიერა გფრ-ისა და ჰოლანდიის საკლუბო გუნდებში.

შ. ბაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მიუნხენი — თბილისი.

* * *



სურათზე: X მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მომენტი. მარცხნიდან — ფ. ბეკენბაუერი, ვ. ოვერატი, ი. კრუიფი, პ. ბრაიტნერი.

ტ. პრაჟმოვსკის (ვარშავა) ფოტო.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 1 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ." | 31 | 18 | 6 | 7 | 56—26 | 42 |
| „დინამო" (მინსკი) | 31 | 16 | 8 | 7 | 41—28 | 40 |
| „ნეფთჩი" | 31 | 15 | 9 | 7 | 40—22 | 39 |
| „კრ. სოვეტ." | 31 | 16 | 7 | 8 | 51—33 | 39 |
| ასკ | 31 | 14 | 9 | 8 | 43—28 | 37 |
| „კუზბასი" | 30 | 16 | 4 | 10 | 40—35 | 36 |
| „ტავრია" | 31 | 15 | 5 | 11 | 56—40 | 35 |
| „ტორპედო" | 31 | 12 | 9 | 10 | 29—33 | 33 |
| „შინიკი" | 31 | 11 | 10 | 10 | 41—38 | 32 |
| „სპარტაკი" (ნალ.) | 31 | 9 | 13 | 9 | 28—30 | 31 |
| „ზვეზდა" | 31 | 11 | 8 | 12 | 43—50 | 30 |
| „ურალმაში" | 31 | 11 | 8 | 12 | 31—38 | 30 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 31 | 10 | 9 | 12 | 32—37 | 29 |
| „სპარტაკი" (ორჯ.) | 32 | 12 | 4 | 16 | 35—53 | 28 |
| „პამირი" | 30 | 8 | 11 | 11 | 36—37 | 27 |
| „სტროიტ." | 31 | 9 | 8 | 14 | 32—41 | 26 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 32 | 6 | 13 | 13 | 29—37 | 25 |
| „ყუბანი" | 32 | 8 | 9 | 15 | 47—64 | 25 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 32 | 7 | 9 | 16 | 29—42 | 23 |
| „ტექსტილ." | 31 | 4 | 7 | 20 | 28—55 | 15 |

გამოტოვებული თამაში: „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „პამირი" (დუშანბე) 1:2.

## „მეტალურგი" — ფინალში

გუშინწინ რუსთავის „მეტალურგის" სტადიონზე გაიმართა ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრა: რუსთაველები ფრუნზეს „ინსტრუმენტალშჩიკს" მასპინძლობდნენ.

„მეტალურგმა" მეტოქეს თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზა და ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვა, რაც მალე მატერიალურ უპირატესობაში გამოიხატა: მე-8 წუთზე სიმონიშვილმა ანგარიში გახსნა. მერე ჯაფარიძემ ზედიზედ ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ხოლო მაშინ, როცა შესვენებამდე 5 წუთი რჩებოდა, მიქაშავიძე მეტოქის მეკარის პირისპირ გავიდა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ. მათ რამდენიმე მწვავე იერიში განახორციელეს და „მეტალურგის" მეკარე მელაძეს ჯერ ხოტლებას, ხოლო შემდეგ ზენალიევის საშიფათო გარღვევების უვნებელსაყოფად თავგანწირული ნახტომები დასჭირდა.

მერე უპირატესობა ისევ მასპინძლების მხარეს გადავიდა. 58-ე წუთზე მაისურაძემ ცენტრიდან დაიწყო რეიდი, ოთხი მეტოქე ოსტატურად მოატყუა და მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით ანგარიში გაზარდა — 3:0. 10 წუთის შემდეგ კი კონიაშვილმა მეოთხე გოლი გაიტანა. მატჩი ასეც დამთავრდა.

„მეტალურგი" ფინალში გავიდა.

რ. ბაბრიშიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.

## ლიდერებმა პოზიცია შეინარჩუნეს

გაიმართა მორიგი შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დილა" (გორი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 3:0

მასპინძლებმა მატჩი მათთვის უჩვეულო დუნე ტემპში დაიწყეს. გაავრებული, მონდომებული თამაშის ნაცვლად სპორტსმენებმა უხეშობას მიჰყვეს ხელი, რისთვისაც ასტრახანელმა მსაჯმა ბანკმა ბუზალაძესა და ბერიკაშვილს გაფრთხილება მისცა. მწვრთნელმა ისინი მეორე ტაიმში მინდორზე აღარც გამოიყვანა.

ტაიმმა უფერულად ჩაიარა. ერთადერთი გამონაკლისი იყო მე-15 წუთი, როცა გორელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ხანიაშვილმა ძნელი მდგომარეობიდან გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში ბუზალაძისა და ბერიკაშვილის ნაცვლად მინდორზე მამესწარაშვილი და ბურჯანაძე გამოვიდნენ. ამან გუნდის თამაშში სიხალისე შეიტანა. მასპინძლებმა ბევრი მწვავე მომენტიც შექმნეს, რომელთაგან მხოლოდ ორი გამოიყენეს: იმავე ხანიაშვილმა ჯერ პენალტი დაარტყა ზუსტად, ხოლო შემდეგ საჯარიმოდან მიწოდებული ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში. ხანიაშვილს წლეულს უკვე 13 ბურთი აქვს გატანილი.

ი. თევდორაშვილი.

### „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (კიროვაბადი) 2:1

ამ გუნდების შეხვედრა ბათუმში მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ამჯერადაც ასე იყო...

ინიციატივას თავიდანვე მასპინძლები დაეუფლნენ. შჟავანაძეს უკვე მე-5 წუთზე შეეძლო წარმატებისთვის მიეღწია, მაგრამ მისი ბურთი ოდნავ აცდა კარს.

ანგარიში შუა ტაიმში გაიხსნა, როცა ჩელებაძემ მცველებს დაასწრო და კიროვაბადელთა მეკარე ჰუსეინოვი აიმულა, ბურთი კარიდან გამოეტანა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა კარგად გამოიყენეს ბათუმელთა შეცდომა და მარჯვენა გარემარბმა აბასოვმა წონასწორობა აღადგინა — 1:1. ამან მასპინძელთა თამაშში მეტი სიმწვავე შეიტანა. კიროვაბადელთა მეკარე დიდხანს მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მაგრამ ბოლოს ჩელებაძემ მაინც შეძლო გადამწყვეტი გოლი გაეტანა — 2:1. ეს მისი მეთექვსმეტე გოლია წლეულს.

საუკეთესო ფეხბურთელებისთვის დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ თ. ბეჟანიძესა და თ. მჟავანაძეს.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია გ. ჰუსეინოვი.

ო. მურვანიძე.

### „მერცხალი" (მახარაძე) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:1

ეს იყო პრინციპული მატჩი: მოგება ორივე გუნდს ძალიან სჭირდებოდა. ამან განაპირობა თამაშის ხასია-

### II ლიგა
### III ზონა

თი — მწვავე და უშედეგოთ. მასპინძელთა გამუდმებული იერიშები მე-6 წუთზე გაგუამ გოლით დააგვირგვინა, რის შემდეგ მასპინძელთა შეტევები არ შენელებულა. ისიც უნდა ითქვას, რომ „შირაკის" კონტრშეტევები ძალიან მწვავე იყო.

მეორე ტაიმში „მერცხალმა" კიდევ უფრო მძაფრად შეუტია. ერთ-ერთი ასეთი იერიში სარიშვილმა დააგვირგვინა და გუნდი უფრო დააწინაურა.

„შირაკმა" „მშრალი" ანგარიშისთვის თავის დაღწევა 65-ე წუთზე შეძლო, როცა არუთინიანმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა.

ვ. შავიშვილი.

### „დინამო" (ზუგდიდი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 3:1

ზუგდიდელებმა, რომელთაც არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვთ, ეს მატჩი შედარებით კარგად ჩაატარეს და პირველ წრეში წაგების (1:2) რევანში აიღეს. პირველი გოლი ქომეთიანმა გაიტანა, მაგრამ შემდეგ გადელიამ და ალმასიამ მეტად ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში კოტკოვმა თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი, დარჩენილ 25 წუთში, ჯერ ნიკოლაიშვილმა, ხოლო შემდეგ ალმასიამ (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით) „დინამოს" გამარჯვება მოუტანეს.

აღსანიშნავია ერევნელი მ. შიროიანის კვალიფიციური მსაჯობა.

გ. ალშიბაია.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ლორი" (კიროვაკანი) 0:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 3:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „დინამო" (ვოლოგდა) 0:1, „ურალანი" (ელისტა) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 2:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 2:0.

## რომშიც ფრე

რომი, 29 სექტემბერი. იტალიის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე დღეს გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რომა" და სსრ კავშირის კლუბების ნაკრები.

ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა მასპინძელი გუნდის თავდამსხმელმა პენცამ, მაგრამ 44-ე წუთზე ანდრეასიანმა მოხდენილი ფინტით გვერდი აუარა მეტოქის ორ მცველს და ზუსტად დაარტყა კარის ზედა კუთხეში — 1:1.

49-ე წუთზე ფედოტოვის დარტყმის შემდეგ ბურთი კვლავ „რომას" კარში აღმოჩნდა, მაგრამ გვერდით მსაჯთან კონსულტაციის შემდეგ არბიტრმა ეს გოლი არ ჩათვალა.

მატჩის დროს გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ თამაში საინტერესო და მწვავე გამოდგა.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: პილგუი, ნიკულინი, ოლშანსკი, ხუდიევი, ლოსევი, ანდრეასიანი (ფიოდოროვი), ლევჩუკი, ზლოხინი (ხაძიპანაგისი), ფედოტოვი, ანი, პავლენკო.

# ზედიზედ მესამედ

სსრ კავშირის სპორტსმენებმა ტუნიში, ტყვიის მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატში 25 მეტრზე შავ სამიზნეებზე სტანდარტული პისტოლეტის სროლაში მორიგი გამარჯვება იზეიმეს. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გ. ტორშინი (581 ქულა, მსოფლიო რეკორდი), ვ. მარგასოვი (576), ვ. სტოლიპინი (574) და ა. კუზმინი (571), ჯამში 2302 ქულა მოაგროვა და 24 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც ამერიკელებს ეკუთვნოდათ. II ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელები — 2268, III — აშშ-ს მსროლელები — 2263.

პირად შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოსკოვის არმიელმა ტორშინმა დაისაკუთრა. ვერცხლი ამერიკელ ჰერმანს ერგო — 577, ბრინჯაო — მარგასოვს — 576.

მსხვილკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანის სროლაც დამთავრდა. სტანდარტზე (3×40) უძლიერესი იყო ბასჰემი — 1147, ვერცხლის მედალი მიიღო ფოსტერმა (ორივე — აშშ) — 1140, ბრინჯაოსი — ხურცელერმა (შვეიცარია) — 1133. დგომელა ასპარეზობაში მედლები ასე განაწილდა: ბასჰემი — 370, ფოსტერი — 370, აგიშევი (სსრ კავშირი) — 367. ჩოქელა სროლაში ყველას აჯობა ფოსტერმა — 387. მომდევნო საპრიზო ადგილები ერგოთ ხურცელერსა (387) და პოლონელ პენზიშს (385).

მსხვილკალიბრიან მეორე სტანდარტში (3×20), როგორც პირადი (კიმსი — 575 ქულა), ისე გუნდური ტურნირი (2280 ქულა) ამერიკელებმა მოიგეს. საბჭოთა ნაკრებმა მეორე შედეგი 2237 აჩვენა. ბრინჯაოს მედლები ჩეხოსლოვაკიელებს ხვდათ — 2217.

მრგვალ სტენდზე ქალთა შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება ზედიზედ მესამედ მოიპოვა როსტოველმა ლ. კორჩინსკაიამ. მან 142 ქულა მოაგროვა 150-დან.

# პირველი აბსოლუტური ჩემპიონი

კრასნოიარსკი, 29 სექტემბერი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობამ თავი მოუყარა ქვემძიმე და მძიმე წონების 17 ათლეტს. ამ შეჯიბრების მიზანი ერთია: თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაცია მძიმე წონის ათლეტთა შორის და ახალი ტალანტების გამოვლენა.

მაგრამ ამ ტურნირს არაფერი აღმოუჩენია. ყველა საპრიზო ადგილი სახელმოხვეჭილმა ოსტატებმა გაინაწილეს. მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა კრასნოიარსკელი ქვემძიმეწონოსანი ი. იარიგინი, რომელმაც შვიდივე შერკინება დიდი აღმავლობით ჩაატარა.

მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონს წლევანდელი სეზონი წარუმატებელი ჰქონდა. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში იარიგინისთვის ადგილიც კი ვერ გამოინახა სსრ კავშირის ნაკრებში. ამან, როგორც ჩანს, კიდევ უფრო „გააბრაზა“ იარიგინი. აბსოლუტური ჩემპიონატისთვის იგი გულმოდგინედ მოემზადა და აღიდგინა კიდეც კეთილი სახელი. ხუთი მეტოქე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვადამდე მიაკაჭვა ხალიჩას, ორი შეხვედრა კი ქულებით მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია იარიგინის გამარჯვებები მძიმე წონის ათლეტებთან, კიეველ ზ. ბიგაევთან (120 კგ) და სიქტივკარელ ვ. პარშუკოვთან (137 კგ). გაგახსენებთ: სსრ კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ზუსტად 100 კილოგრამს იწონის.

II საპრიზო ადგილი ზ. ბიგაევს ხვდა, III — ვ. პარშუკოვს.

შემდეგი ასეთი ტურნირი 1975 წელს გაიმართება ხარკოვში.

## ახალი ამბები-74

● ელისტა, 28 სექტემბერი. ადგილობრივმა „ავტომობილისტმა“ მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოტობურთში. ოქროს მედლების ბედი გათამაშების ბოლო მატჩში გადაწყდა, როცა ელისტელებმა ანგარიშით 2:1 სძლიეს ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონს — პოლტავის „ვიმპელს“. „ავტომობილისტს“ საბოლოოდ 31 ქულა დაუგროვდა (ბურთების ბალანსი — 97:8). II ადგილზე გასული „ვიმპელი“ ჩემპიონს 4 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა უკრაინის ქალაქ ვოზნესენსკის „ვოსხოდი“.

● ერევანი, 29 სექტემბერი. ტულელმა ველოსიპედისტმა თ. გარკუშინამ თავის უამრავ მაღალ ტიტულს აქ კიდევ ერთი წოდება დაუმატა: 25-კილომეტრიან ინდივიდუალურ საგზატკეცილო რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა — 35.46,42. არარატის ველზე მდებარე საუცხოო ტრასაზე გამართულ შეჯიბრებაში მეორე იყო 18 წლის ხარკოველი ა. ლუკუტინა — 36.13,35. ბრინჯაოს მედალი გამოცდილ ბ. ცაუნეს (რიგა) ხვდა — 36.21,47. დღესვე სომხეთში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება. ასპარეზობის პირველ დღეს დიდ წარმატებას მიაღწია მოლდავეთის წარმომადგენელმა ვ. კორობკოვმა, რომელმაც ყველას აჯობა 163 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში — 3.41.47. II ადგილზე გავიდა ა. ავერინი (აზერბაიჯანი) — 3.41.55. ასეთივე შედეგით მესამე იყო ბ. ისაევი (ბელორუსია). გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მოლდავეთი, ბელორუსია, უზბეკეთი. სსრ კავშირის თასის გათამაშება სამ დღეს გასტანს.

● ერფურტი, 30 სექტემბერი. გდრ-ის მძლეოსანთა შეჯიბრებაში რიტა კირსტმა 190 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

## [illegible]

✓ ფუძიამაზე ასვლა

ამ სათაურს არავითარი საერთო არა აქვს მოსკოვის თეატრ „სოვრემენიკის“ მიერ თბილისში ჩამოტანილ სპექტაკლთან. ამ შემთხვევაში ფუძიამა მართლა დაიპყრეს და თანაც ვინ! იაპონელმა გადამდგარმა გენერალმა ტიოიტი. ვანამიმ, რომელიც... 91 წლისაა.

დედამიწის ზურგზე ყველაზე მოხუცი დამპყრობლის 3776-მეტრიან მწვერვალზე ასვლა თავისებური მსოფლიო რეკორდია.

ჭადრაკი

# სიამოვნება და მძიმე შრომა

სასიამოვნოა დიდ ტურნირში მონაწილეობა, თუმცა მოჭადრაკეს ყველაზე ჯაფა ადგება. ჭადრაკში პაექრობა ხშირად ხუთ საათზე მეტს გრძელდება. ამიტომაც ჭადრაკის მესვეურნი ლაპარაკობენ თამაშის დროის შემცირებაზე, გადადებული პარტიების დასამთავრებლად სპეციალური დღის გაუქმებაზე...

ვიდრე ყოველივე ეს ცხოვრებაში განხორციელდება, მოჭადრაკეები თამაშობენ, თამაშობენ...

— გადადებული პარტია ექვს საათს ვითამაშე და კვლავ გადავდე, — გვითხრა თ. ხუგაშვილმა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ მ. შულთან (ლვოვი) თამაშის შემდეგ. — შეწყვეტილი პოზიცია კარგად გავარჩიე ჩემს მწვრთნელ გურგენიძესთან ერთად, შულიც „დამეხმარა“. ყაიმის რეალური შანსი მივიღე, მაგრამ, როგორც ჩანს, დავიღალე და შევცდი. ახლა კვლავ უარესი მდგომარეობა მაქვს.

გადადებულ პარტიაში ჭეშმარიტების დასადგენად ღრმა, პირდაპირ მეცნიერული ანალიზია საჭირო. კარგია, როცა ერუდირებული მრჩეველი გყავს. მაგალითად, ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) მწვრთნელად ახლავს მეუღლე, ცნობილი დიდოსტატი ი. ბონდარევსკი, ამიტომაც მან რ. ბილუნოვასთან (მოსკოვის ოლქი) უარეს პოზიციაში შეწყვეტილი პოზიცია გაათამაშა.

მაგრამ საშინაო ანალიზი მუდამ როდი უზრუნველყოფს გამარჯვებას. ცკობაიძეს (თბილისი) ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა თ. გოლოვეისთან (მინსკი) თავის მწვრთნელთან, ოსტატ ა. ბუცლაევთან ერთად მან მოგების შენიღბულ შანსს მიაგნო, მაგრამ თამაშში, როცა მიზანთან ახლოს იყო, მოულოდნელად შეცდა და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო.

მაშინაც, როცა პოზიცია მოგებული ჩანს, ანალიზს საკმაო დრო მიაქვს. შულმა გულდაგულ გაარჩია გოლოვეისთან გადადებული პარტია, საბრძოლველადაც მოემზადა, მინსკელმა ოსტატმა კი ზედმეტად მიიჩნია წინააღმდეგობა და ორიოდე სვლაში დანებდა.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს (28 სექტემბერი) კიდევ ასეთი შედეგები იყო: ე. ფათალიბეკოვამ (მოსკოვი) მოუგო მ. ჩიბურდანიძეს (თბილისი), ტ. პოპოვამ (მოსკოვი) — ბილუნოვას, ა. გრინფელდმა (კალინინგრადი) — კობაიძეს, გოლოვეიმ — პოპოვას, ლ. მულენკომ (ზაპოროჟიე) — ნ. მედიანიკოვას (მოსკოვი). ყაიმზე შეთანხმდნენ მედიანიკოვა — კოზლოვსკაია, ტ. მოროზოვა (ლვოვი) — ტ. კოსტინა (მინსკი) და II ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში — ტ. ფომინა და მ. საკული (ორივე — ტალინი).

ჭადრაკის თამაში დიდ ყურადღებას მოითხოვს. ყურადღების ოდნავი შესუსტება მყისვე ისჯება. ასე დაისაჯა IV ტურში ფომინა. მან არაფრად ჩააგდო მედიანიკოვას პაიკების იერიში მეფის ფრთაზე და როქიც სწორედ იქით გააკეთა. და აი, მე-19 სვლაზე ფომინას გვირგვინოსანი უკვე განადგურებული აღმოჩნდა.

როცა მულენკომ ფათალიბეკოვა ბიძულა ფიგურა დაეთმო პაიკში, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ერთპიროვნული ლიდერი აგებდა. მაგრამ მოსკოვის ჩემპიონის ბრძოლა უფრო შორს განეჭვრიტა. მისმა მეფე და მხედარმა გაანადგურეს მულენკოს პაიკები და საკუთარს კი გზა გაუხსნეს ლაზიერძი გასასვლელად. მულენკო დაიბნა, დაკარგა თამაშის გეზი. ფიგურის გარდუვალი წაგების მოიცდაში მან პარტია დათმო.

— ხუგაშვილმა მისთვის უჩვეულო სტილით ითამაშა. მეფის ფრთის ყაიმივე პაიკი შესწირა იერიშის მისაღებად და ბოლოს თავად მოექცა მეტოქის ქვეშ, — გვითხრა ვეტერანმა მთამსვლელმა მარო ტყავაძემ, რომელიც, სხვათა შორის, თითქმის ყოველდღე სპეციალურად ჩამოდის რუსთავიდან.

ბოლოს ხუგაშვილი დამარცხდა. აი, სად იჩინა თავი წინადღით გადადებული პარტიის ექვსსაათიანმა თამაშმა. არც შულს დაადგა კარგი დღე. მოროზოვასთან უარესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ თავს უშველა: ეტლების ენდშპილში ყაიმს მიაღწია.

ასევე ეტლების ენდშპილში დაზავდნენ კობაიძე და ა. კისლოვა (ომსკი).

უდიდესი მონდომებით იბრძოდა კოზლოვსკაია. იგი ერთხელაც არ მოცილებია დაფას. არც ახალგაზრდა გრინფელდი ამდგარა სკამიდან. როგორც ჩანს, გრინფელდმა ვერ აიტანა დიდი ნერვული დაძაბულობა, მცდარი შეტევა წამოიწყო და მისი მსხვერპლი თავად გახდა: შეცდომებს მძაფრი ცაიტნოტი მოჰყვა და საათზე ალამი ჩამოუვარდა...

ცაიტნოტში დამარცხდა ე. ბახრეხიც (მოსკოვი). მან მწვავედ შეუტია სამულის მეფეს, მაგრამ ახალბედა მოჭადრაკეს სიჩქარეში თვალები აუჭრელდა, შეცდა და... მისი მეფე დაამშამათეს.

ბილუნოვა მ. რანიკუს (ტალინი) პოზიციურ მარწუხებში მოჰყვა. მას ვერც პაიკის დათმობამ უშველა, ვერც ლაზიერების ენდშპილში გადასვლამ. 46-ე სვლაზე ესტონელმა ოსტატმა გაიმარჯვა.

გადაიდო ჩიბურდანიძე — გოლოვეის პარტია. მდგომარეობა თანაბარია.

4 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ე. ფათალიბეკოვა — 4 ქულა, მ. საკული — 2,5 ქულა 3-დან, ნ. მედიანიკოვა, ა. გრინფელდი, ა. კისლოვა, მ. რანიკუ — 2,5-2,5 ქულა 4-დან.

თ. გიორგაძე.

## მხოლოდ IV ადგილზე...

მედელინში (კოლუმბია) ცხარე ბრძოლაში მიმდინარეობს ქალთა VI საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალური შეხვედრები. 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბულგარეთის და უნგრეთის გუნდები, რომელთაც 10-10 ქულა აქვთ. მათ ქულა-ნახევრით ჩამორჩება რუმინეთის ნაკრები. სსრ კავშირის მოჭადრაკეებს მხოლოდ 8 ქულა დაუგროვდათ.

შემდეგ მოდიან: ჰოლანდია — 7,5 ქულა, ჩეხოსლოვაკია — 5,5, ინგლისი, გფრ, იუგოსლავია — 3-3, კანადა — 1,5.

VI ტურში საბჭოთა გუნდმა ანგარიშით 2:0 სძლია ინგლისელ მოჭადრაკეებს (ნ. გაფრინდაშვილმა 72-ე სვლაზე სძლია ე. პრიტჩარდს, ნ. ალექსანდრიამ — 48-ე სვლაზე შ. ჯექსონს). ასეთივე ანგარიშით ბულგარეთის ნაკრებმა მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს, უნგრეთის გუნდმა — გფრ-ის მოჭადრაკეებს. V ტურში საბჭოთა ოსტატებმა ყაიმით (1:1) დაამთავრეს მატჩი ჩეხოსლოვაკიის გუნდთან (კ. ერეტოვა ალექსანდრიას დაუზავდა, ს. ვოკრჟალოვა — ი. ლევიტინას).

V ტურში სსრ კავშირის მატჩი რუმინელებთან ყაიმით დამთავრდა — 1:1.

ოლიმპიადის დამთავრებას სამი ტურიღა აკლია.

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

გათამაშების ლიდერმა „იფსვიჩ თაუნმა“ შაბათს სტუმრად წააგო მატჩი „ნიუკასლ იუნაიტედთან“ — 0:1. „ლივერპულმაც“ 2 ქულა დაკარგა, ასევე სტუმრად — „შეფილდ იუნაიტედთან“ და იმავე ანგარიშით.

„მანჩესტერ სიტის“ კაპიტანმა მარშმა „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ კარში გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი — 1:0.

„ევერტონმა“ შინ სძლია ჩემპიონს — „ლიდს იუნაიტედს“ (3:2), რომელიც გათამაშების ცხრილის ქვედა ნაწილშია.

IX ტურში აღსანიშნავია ლონდონის გუნდების ცუდი თამაში (მხოლოდ „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ სტუმრად მოუგო „ბერნლის“ 5:3), რომლებიც გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილებზე არიან.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „იფსვიჩ თაუნი“ | 9 | 15:5 | 14 |
| „ლივერპული“ | 9 | 17:7 | 13 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 9 | 14:11 | 13 |

II ლიგაში დაუმარცხებელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ანგარიშით 2:0 სძლია „ნორვიჩ სიტიმ“, თუმცა მანჩესტერელებს ლიდერობა მაინც არ დაუკარგავთ.

III ლიგაში ლიდერობს „პრესტონ ნორთ ენდი“, რომლის მწვრთნელიცა და მოთამაშეც ცნობილი ბობი ჩარლტონი გახლავთ.

### შოტლანდია

შაბათს „გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად დაამარცხა „კილმარნოკი“ — 6:0. გლაზგოს „სელტიკმა“ შინ აჯობა „ეირ იუნაიტედს“ — 5:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 5 | 15:6 | 9 |
| „სელტიკი“ | 5 | 17:8 | 8 |
| „ჰიბერნიენი“ | 5 | 13:5 | 8 |

### გფრ

„ვუპერტალერ შპორტფერაინმა“ შინ მოუგო ჩემპიონს — მიუნხენის „ბაიერნს“ (3:1) და ჩემპიონმა X ადგილზე გადაინაცვლა.

„ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ დასავლეთ ბერლინში სძლია ადგილობრივ „ტენის ბორუსიას“ — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰამბურგერ შფ“ | 5 | 11:3 | 9 |
| „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) | 5 | 13:4 | 8 |
| „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) | 5 | 14:6 | 7 |

### ესპანეთი

კვირას ხიხონში გათამაშების ლიდერი — ადგილობრივი „სპორტინგი“ ჩემპიონს „ბარსელონას“ შეხვდა. უაღრესად დაძაბული შეხვედრის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ეს გოლი თავური დარტყმით გაიტანა ბარსელონელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ცნობილმა ჰოლანდიელმა ფორვარდმა კრუიფმა.

„ვალენსიამ“ შინ მოუგო ბილბაოს „ატლეტიკოს“ — 3:0. 2 გოლი კანომ გაიტანა.

მადრიდის „ატლეტიკომ“ თავის მინდორზე აჯობა „რეალ მურსიას“ — 1:0. გოლი გაიტანა გარატემ. მადრიდის „რეალმა“ სტუმრად ფრედ (0:0) ითამაშა I ლიგის დებიუტანტ „სალამანკასთან“ და ლიდერობა დაისაკუთრა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 3 | 4:2 | 5 |
| „ბარსელონა“ | 3 | 8:3 | 4 |
| „სპორტინგი“ (ხიხონი) | 3 | 6:2 | 4 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ სტუმრად სძლია ველზენის „ტელსტარს“ — 4:1. ამსტერდამელთაგან გოლები გაიტანეს მურენმა (2), რეპმა და ჰაანმა.

„ფშვ ეინდჰოვენმა“ შინ ანგარიშით 5:1 დაამარცხა დევენტერის „გოუ ეჰედი“, ხოლო როტერდამის „ფეიენოორდმა“ ასევე შინ სძლია „უტრეხტს“ — 5:0.

ენსხედეს „ტვენტემ“ უმასპინძლა „დე გრააფსხაპს“ და გაიმარჯვა — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 4 | 13:3 | 8 |
| „ფშვ ეინდჰოვენი“ | 4 | 13:5 | 8 |
| „ფეიენოორდი“ | 4 | 17:3 | 6 |

## ევროპის ფეხბურთის ამბები

### შვეცია

„მალმიომ“ უპსალაში ქულა დაკარგა ადგილობრივ „სირიუსთან“ — 0:0. ვექშეს „ესტერმა“ გიოტებორგში სძლია ადგილობრივ გაის-ს — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მალმიო“ | 21 | 35:11 | 35 |
| აიკ (სტოკჰოლმი) | 21 | 33:18 | 29 |
| „ესტერი“ | 21 | 35:21 | 25 |

### ბელგია

7 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „რასინგ ვიტი“ (მოლენბეკი) | 7 | 13:6 | 10 |
| „ლიერსი“ | 6 | 12:4 | 9 |
| „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი) | 6 | 11:3 | 8 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ“ თავის სტადიონზე ქულა დაკარგა „სპორტინგ ოლიანენსესთან“ — 2:2. „პორტუმ“ აგრეთვე შინ ფრედ ითამაშა ლისაბონის „სპორტინგთან“ — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 3 | 10:2 | 5 |
| „პორტუ“ | 3 | 5:3 | 5 |
| „ვიტორია“ (გიმარაიში) | 3 | 11:2 | 4 |

### იუგოსლავია

ტურის ცენტრალური შეხვედრა ბელგრადში ადგილობრივ „პარტიზანსა“ და ჩემპიონსა და თასის მფლობელს — სპლიტის „ჰაიდუკს“ შორის სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ კრაგუევაცში აჯობა ადგილობრივ „რადნიჩკის“ — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცრვენა ზვეზდა“ | 7 | 17:4 | 12 |
| „ჰაიდუკი“ | 7 | 18:11 | 10 |
| „ვოივოდინა“ | 7 | 8:3 | 10 |

### პოლონეთი

მელეცის „სტალმა“ თავის მინდორზე ფრედ ითამაშა ლოძის ლკს-თან — 0:0. კრაკოვის „ვისლის“ თავდამსხმელის კმიეციკის ორ გოლზე ბატომის „პოლონიამ“ მხოლოდ ერთით უპასუხა — 2:1.

ტურის ცენტრალურ შეხვედრად აღიარეს მატჩი ზაბჟეში ადგილობრივ „გურნიკსა“ და ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს — ხოჟუვის „რუხს“ შორის. ანგარიში მე-4 წუთზე მასპინძელთა თავდამსხმელმა შარმახმა გახსნა, მაგრამ ხოჟუველმა ბულამ თამაშის მიწურულს საპასუხო გოლის გატანა შეძლო — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვისლა“ | 6 | 8:3 | 9 |
| „სტალი“ | 5 | 6:2 | 9 |
| „რუხი“ | 5 | 10:4 | 7 |

### უნგრეთი

ბუდაპეშტში ადგილობრივი გუნდების „ჰონვედისა“ და „უიპეშტ დოჟას“ ცენტრალური შეხვედრა ამ უკანასკნელმა მოიგო — 1:0. ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ დაამარცხა „ვაშაში“ — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა“ | 5 | 13:6 | 10 |
| „ჰონვედი“ | 6 | 13:5 | 9 |
| „ფერენცვაროში“ | 6 | 12:6 | 8 |

### ბულგარეთი

6 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია) | 5 | 14:8 | 8 |
| „სლავია“ (სოფია) | 6 | 15:6 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) | 6 | 13:11 | 7 |

(საქ. ინფ).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02845